ხუთშაბათი, 12 თებერვალი 1904 წ.

1877 — წელიწადი ოც-დამეოთხე — 1904

ხუთშაბათი, 12 თებერვალი 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 36 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 36

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

1 თებერვლიდან ჰმოქმედობს ქუთაისში განყოფილება ჩვენის გაზეთის კანტორისა. ხელის-მომწერთ და აგრედვე განცხადების დაბეჭდვის მსურველთ ქუთაისში შეუძლიანთ მიჰმართონ პირდაპირ ამ კანტორას.

---

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ღალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

---

# 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას. ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელთაც სრული ფასი შემოიტანეს 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе")

ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი"** (Измѣна). დაიბეჭდა, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდათ.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი პრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. ,,ივერიის'' **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათმდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საჩხერეში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართეს ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ,, მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".

---

პარასკევს, 13 თებერვალს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

**ალექსანდრე მიხეილის ძის ბენაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც ქვრივი განსვენებულისა ივლიტა დიმიტრის ასული და სიდედრი თებრონია იოსების ასული ხელაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა. (1—მ—1)

---

**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

## იჯარით აპიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახების და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და [illegible] ფასად.

[illegible]ლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

---

პატივის ცემით მოიჯარარე მხატვარი ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.

## ტფილისის სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

## დიდ-მარხვის სეზონი

დასში მოწვეულ იქმნენ შემდეგნი ცნობილნი მომღერალნი:

მომღერალი ქალნი: მ. ა. დუბროვსკაია—დრამატ. სოპრანო, საიმპერატორო ოპერის არტისტკა; ე. ფ. ბობროვა-პფეიფერი—კოლორატურულ სოპრანო; მ. პ. ტურჩანინოვისა—ლირიკ; ე. ვ. სტეფანოვიჩისა—მეცო-სოპრანო; მომღერალი კაცნი: ა. მ. დავიდოვი—საიმპერატორო ოპერის არტისტი, ტენორი; ა. ნ. კორეშევინი—მოსკოვის კერძო საოპერო თეატრის არტისტი, ტენორი; ი. ვ. ტარტაკოვი—საიმპერატორო თეატრების არტისტი, ბარიტონი (დიდმარხვის მეორე ნახევრიდგან), ო. ი. კამიონსკი—კიევის საოპერო თეატრის არტისტი, ბარიტონი; ა. მ. ბრაგინი—პეტერბურგის თეატრების არტისტი, ბარიტონი; დ. ი. ბუხტოიაროვი, საიმპერატორო ოპერის არტისტი, ბასი.

საგასტროლო წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე მისის უდიდებულესობის სოლისტი **ნ. ნ. ფიგნერი**. სეზონი დაიწყება ორშაბათს, 16 თებერვალს, წარმოდგენილი იქნება საიმპერატორო საოპერო თეატრის არტისტის ა. მ. დავიდოვისა, ქ-ნის სტეფანოვიჩის და მ. პ. ტურჩანინოვას მონაწილეობით

## კარმენი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.

სამშაბათს, 17 თებერვალს, ო. ი. კამიონსკისა და ქ-ნ ე. ვ სტეფანოვიჩის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ევგენი ონეგინი**

ოპერა 3 მოქმ., 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

ოთხშაბათს, 18 თებერვალს, ქ-ნთ ბობროვა-პფეიფერისა, ა. ნ კორეშევინისა და საიმპერატორო ოპერის არტისტის დ. ი. ბუხტოიაროვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ფაუსტი

ოპერა 5 მოქ. მუს. გუნოსი.

ხუთშაბათს, 19 თებერვალს, ქ-ნთ დუბროვსკაისა, ბობროვა-პფეიფერისა, ტურჩანინოვისა და ბ-ნთ დავიდოვისა და ბუხტოიაროვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ჰ უ გ ე ნ ო ტ ე ბ ი,**

ოპერა 4 მოქმ. მუსიკა მეიერბერისა

პარასკევს, 20 თებერვალს, ო. ი. კამიონსკის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

**დ ე მ ო ნ ი**

ოპერა 4 მოქმ. მუსიკა რუბინშტეინისა.

შაბათს, 21 თებერვალს, „გალლა" წარმოდგენა. ქ-ნთ ბობროვა-პფეიფერისა, სტეფანოვიჩისა, ბ-თ კორეშევინისა და ბუხტოიაროვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ლ ა კ მ ე

ოპერა 3 მოქ., მუსიკა დელიბისა.

კვირას, 22 თებერვალს, ა. ი. დავიდოვისა და მ. ა. დუბროვსკაიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

თუ ვინიცობაა რომელიმე მომღერალი წარმოდგენის დროს ავად გახდა, ანტრეპრიზას ნება აქვს შესცვალოს იგი მეორე მომღერალით.

ნ. 4—3.

---

**წითელის ჯვრის სასარგებლოდ**

სომხურ ჟურნალების ,,ალბიურ''-ისა და ,,ტარაზ''-ის რედაქციის მიერ (ოლგას ქუჩა, 33, სამხედრო ოლქის სასამართლოსა და ოლგას საბებიო ინსტიტუტის პირდაპირ) დაიწყება გამოფენა სახელოვნობო ნაწარმოებთა ოთხშაბათიდგან 11 თებერვლიდან 18 თებერვლამდე, ყოველ დღე 12 საათიდგან 5 საათამდე.

ფასი შესვლისა 20 კაპ. სულ წითელის ჯვრის სასარგებლოდ გადაიდება, სახელოვნობო ნაწარმოების ფასიდგან 25% გადაიდება წითელის ჯვრის სასარგებლოდ.

გამოფენაზე მიმსვლელთა გვარები დაბეჭდილი იქმნება ,,ტარაზ''-ში (5—უ—2)

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ად- 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ძ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. ვ. ხობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

---

## ე ქ ი მ ი
## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

---

გამოვიდა და იყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების'' წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აფეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $8^1/_2$—8 ს.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონიის ფლოტის სადგომები.—რუსეთის ესკადრის გამოსვლა პორტ-არტურიდგან.—რა ღირს დეპეშა იაპონიიდგან ლონდონამდე.—რუსეთის ახალი გემები.—იაპონიის გემების დაზიანება.—იაპონიისაგან სურსათის დასაკუთრება.—სავაჭრო დეპეშათა სააგენტოს ცნობები.

იაპონელებს თავის ჯარის უმთავრესს ბანაკად, როგორც ეტყობა, ჩემულპო აურჩევიათ, საიდგანაც ჯარი კორეის სხვადა-სხვა ადგილს გადაჰყავთ. გენერალ ფლუგის დეპეშიდგანა ჩანს, რომ იაპონელებს ჩემულპოდგან ჩიფუმდე გემები გაუმწკრივებიათ, რომ დეპეშები უმავთულოდ გადასცენ და გადმოსცენ. ამისათვის, როგორც გაზეთ „რუს. ვედ."-ის თანამშრომელს გამოუანგარიშნია, საჭირო 26 გემი მაინც. იმას გარდა, რომ ჩიფუში იაპონელებს მრავალი ჯაშუშები ეყოლებათ და ყველაფერს სწრაფად შეიტყობენ, რაც ხმელეთზე მოხდება, ანუ გაიგებენ, ამ გამწკრივებულ გემებს ის მნიშვნელობაცა აქვს, რომ ყვითელ ზღვიდგან პორტ-არტურისაკენ ვერც ერთი გემი ვერ გაივლის შეუნიშნველი და, მამასადამე, იაპონელები აქ მტრის გემს არ გაატარებენ. მხოლოდ დეპეშების გულისთვის, თუ რომ მარკონის და ლანგლეის უმავთულო აპარატები ექმნებათ, საკმარისია მხოლოდ სამი კრეისერი და გემების გამწკრივება სრულიად საჭირო არ არის.

ჩემულპოში დოკები არ არის, რომ დაზიანებული გემები შეაკეთონ, აქ მხო-

ლოდ სახელდახელო სახელოსნო იქნება, სადაც მცირედ გაფუჭებულ გემს შესწორებენ. აქვე იქნება ქვა-ნახშირის საწყობი, რადგან ეს შუა ადგილია იაპონიის კუნძულთა და პორტ-არტურს შორის. დიდად დაზიანებულ გემებს-კი იაპონელები ჰგზავნიან სასებოში, რომელიც საუკეთესო ნავთ-სადგურია კუნძულ კიუსიუს დასავლეთ ნაპირს. ამასთანავე, სასებო კარგს ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს. ამ ნავთ სადგურზე თითქმის მოთავსდება იაპონიის მთელი ფლოტი.

ჩემულპოსა და სასებოს შორის იაპონიის ფლოტი მუდამ დარაჯად იქნება. აქ მუდამ მისვლა-მოსვლაა გემებისა, ჯარის გადაყვანა და სურსათის ზიდვა. აქ იაპონიას ხელის შემშლელი არავინა ჰყავს. ვლადივოსტოკის ესკადრა ვერ გაბედავს იაპონიის ყურეზე გავლას, რადგან იაპონიას სადარაჯო გემები ეყოლება კორეის ზღვაზე და, შეჰნიშნავს თუ არა მტრის ჯარს, მაშინათვე მთელს თავის ფლოტს ამ ადგილს თავს მოუყრის და მტერს გზას შეუკრავს. სხვანაირად იქნება საქმე, თუ რომ ვლადივოსტოკის ესკადრის მოახლოვების დროს პორტ-არტურის ფლოტიც გამოვიდა შესაერთებლად. ამისათვისაც იაპონიის ადმირალს ტოგოს, რასაკვირველია, შესაფერი ღონისძიება ექმნება მოფიქრებული. მანამდე-კი იაპონიის ფლოტი ხელშეუშლელად თავის საქმეს აკეთებს და ჯარს სურსათით კორეაში ამრავლებს. პორტ-არტურზე იერიშით მისვლა უაზრობა იქნება, რადგან რუსეთის ესკადრა რომ დაამარცხოს კიდეც, ეს მეტად ძვირად დაუჯდება და გამაგრებულ ციხეს მაინც ვერ აიღებს. საკმარისია ჯერჯერობით, რომ ნაღმიანმა გემებმა უჩხიკინონ პორტ-არტურის ფლოტს. ამით მტერს აიძულებენ დღე და ღამ იფხიზლოს, მუდამ მზად იყოს დასახვედრად, ამასობაში მოიქანცოს და სულით დაეცეს. და თუ ხანდახან მოახერხა ერთისა და ორის გემის ნაღმით დაღუპვა, მაშინ ხომ ნავთსადგურში უსაქმოდ და უიარაქათოდ მდგომ ფლოტს სულ დააუძლურებს. ეს ანგარიში უნდა ჰქონდეს იაპონიის ესკადრას, რომ ალარსადა სჩნდება და მხოლოდ ნაღმიან გემებსა ჰგზავნის აქეთიქით.

«New-York-Herald»-ი იუწყება, ვითომც რუსეთის ესკადრა გამოსულა პორტ-არტურიდგან და კორეისაკენ მიდის; იქიდგან იაპონიის ნაპირებისკენ წავა და ნავთსადგურებს დაეცემა. პორტ-არტურის დაცვა ციხის ზარბაზნებსა და გარნიზონსაც შეუძლიან. ორი დაზიანებული გემი უკვე შეუკეთებიათ და ესკადრას შეუერთეს. („პ. ვ.“)

—

იაპონიიდგან ლონდონამდე დეპეშა 7 საათსა 55 წუთზე მიდის თურმე, თუმცა ბევრი მისახვევ-მოსახვევია გზაში და გადაცემ-გადმოცემა უნდა სხვა-და-სხვა ადგილას. თითო სიტყვა საგაზეთო დეპეშებისა შემცირებულის ფასით მანეთზე მეტი ჯდება, კერძო დეპეშის სიტყვა-კი 3 მანეთამდე ღირს. როგორ ძვირად უჯდება გაზეთებს შორეულ აღმოსავლეთის დეპეშები, ამას შემდეგი მაგალითი ამტკიცებს: პორტ-არტურის ომის გამო თითო დეპეშა ლონდონში 2,000 მარკა ღირებულა (1,000 მანეთამდე) და შვიდს დიდს გაზეთს ერთს დღეს 14,000 მარკა გადაუხდია. („პ. ვ.“).

—

რუსეთი გაჩქარებით აკეთებინებს ახალ სამხედრო გემებს, რომ ამ ზაფხულს შორეულ აღმოსავლეთისაკენ გაჰგზავნოს. ეს გემები არიან: „ალექსანდრე მესამე“, „ბოროდინი“, „თავადი სუვოროვი“, „ორიოლი“ და კრეისერი „ოლგა“. („რუს. ვედ.“).

—

ბერლინიდგან ატყობინებენ გაზ. „რუს. ვედ.“-ს უკანასკნელ ნამდვილ ცნობებს, რომ პორტ-არტურში იაპონელებს სამი საუკეთესო სამხედრო გემი დაუზიანდათ: „iwale“-ს დაუზიანდა საყუმბარო კოშკი, „fudschi“-ს დაემსხვრა საკომლე და ამასთანავე მოკლულ იქმნა უფროსი იამანკა და „Mikasa-ს“ პალუბა ჩამტვრა.

—

სან-ფრანცისკოდგან პორტ-არტურში გაგზავნილი სურსათით სავსე გემი იაპონელებს დაუჭერიათ ნაგასაკში. ამ კვირებს ში იგზავნება გემი „lhina“ 1 მილიონ დამარილებულ ხორცით დატვირთული. ამ გემს ჯერ შანჰაიში გადმოსცლიან და მერე პორტ-არტურში გაგზავნიან. („რუს. ვედ.“).

### სავაჭრო დეპეშათა სააგენტო.

ამას წინად უცხოელთა გაზეთებმა გაავრცელეს ხმა, ვითომც 1 თებერვალს იაპონიის ნაღმიანი გემები პორტ-არტურის ესკადრას მიესივნენ და ყუმბარები დაუშინესო. ეს ხმა ოფიციალურად არ დამტკიცდა.

ამავე ამბის გამო, ლონდონის გაზეთები ამბობენ ტიან-ძინიდგან მიღებულ ცნობებით, რომ იაპონიის ნაღმიან გემების მისვლას პორტ-არტურთან ის აზრი ჰქონდა, რომ იმავე ღამეს 205,000 ჯარი გადაესხათ იაპონიის გემებს კვანტუნის ყელის ორთავ მხარეს და ერთს დროს იერიში მიეტანათ პორტ-არტურზე, როგორც ხმელეთიდგან, ისე ზღვიდგანაც.

—

იაპონიის ფლოტი, როგორც ამბობენ, ორად გაყოფილა: ერთი ჩემულპოსა და ფუზანთან ტრიალებს, რომ ჯარის გადასხმას სატრანსპორტო გემებიდგან ხელი შეუწყოს, და მეორე ვლადივოსტოკის ესკადრას დარაჯობს.

—

**ლონდონი.** „დეილი ტელეგრაფ“-ს ცნობა მისულია კორეიდგან, რომ რუსეთის ჯარმა კარგი ადგილი დაიჭირა ფსიონტ-იანზე და ამ ჟამად სკულისაკენ მიდისო.

—

ტოკიოდგან გერმანულ გაზეთებს ატყობინებენ, რომ იაპონიის მთავრობას დაუვალებია მანჯურიაში მყოფ იაპონელებისათვის, თვალ-ყური ადევნონ რუსეთის ჯარის მოძრაობას და დაუყოვნებლივ აცნობონ როგორმე. ყოველი ნაბიჯი ტოკიოში იციან. ზოგი ჯარის კაცი შეაგულიანეს, რომ რუსეთს ტყვედ გაჰყვეს და იქიდგან ცნობები უგზავნოს.

—

**ლონდონი.** გაზეთი «daily chronicle» ამბობს, რუსეთი გულახდილათ აცხადებს, რომ მშვიდობიანობის იმედი გვქონდა და საომრად მომზადებულნი არა ვართო. ამით ვითომ საზოგადოება უნდა შეამზადონ, რომ გული არ გაიტეხოს, თუ პირველ ხანს ვერ გავიმარჯვეთო. ასეთი გულახდილობა გვაფიქრებინებს, რომ სცდებიან ისინი, ვინც რუსეთის თვალსაჩინო თუ სათადარიგო ძალას ეხუმრებათ.

—

**სეული.** გამოცხადდა მთავრობის ბრძანება, რომ იაპონიის ჯარი საგანგებოდ დაბეჭდილ ქაღალდის ფულით დაიწყებს აღებ-მიცემობას კორეაში და ომის შემდეგ იაპონია ქაღალდის ფულში სულ ნაღდ ოქროს მისცემსო.

—

**ლონდონი.** ომის დაწყებამდე იაპონიის ძალა არაფრად მიაჩნდათ არც რუსეთსა და არც სხვა სახელმწიფოებს. საფრანგეთსა და გერმანიაში ეგონათ, იაპონია ვერ გაბედავს უძლიერეს სახელმწიფოს შეებრძოლოსო. ეხლა კი, როგორც უნდა გათავდეს ომი, იაპონიამ ზღვათა სახელმწიფოებს შორის თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა.

—

ტოკიოდგან დეპეშით აცნობებენ „Loca-Anzeiger“-ს, რომ 15 სწრაფი მატარებელი გაჰგზავნა ჩინეთმა მანჯურიის საზღვრისკენ საუკეთესო ჯარით სავსე და იმას იმიზეზებს, ვითომ ნეიტრალიტეტის დასაცველად უნდოდესო.

# ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ ტფილისის ხელოსანთა მოურავმა ბ-ნმა რაფაელოვმა, შორეულ-აღმოსავლეთში ომიანობის დაწყების გამო, უქვეშევრდომილესი გძნობანი გამოუცხადა ხელმწიფე იმპერატორს დეპეშით. ხელმწიფე იმპერატორს კეთილ უნებებია და საკუთარის ხელით დაუწერია დეპეშაზე: „გულით გმადლობთ“.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობაში, როგორც გადმოგვცეს, მოკლე ხანში მოხელეთა შტატი უნდა გააფართოვონ. გამგეობის შენობის გაფართოვება-კი კარგა ხანია აზრად აქვს რკინის გზის გამგეობას და მოკლე ხანში ამ აზრს სისრულეში მოიყვანს.

◆ კავკასიაში დიდ-ძალი ძროხები ჰყავთ, მაგრამ რძის მოხმარება არ იციან. ხეირიანად ყველსაც ვერ ამოიყვანებენ ხოლმე. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომლის აზრითაც, კავკასიას შესამჩნევის ნაბიჯის წარდგმა შეუძლიან, თუ მერძეობის საქმე წესიერად იქმნა დაყენებული. ამ აზრით განუზრახავს მერძეობის შესახები ცნობანი გაავრცელოს კავკასიის მცხოვრებთა შორის. გაზაფხულზედ სამინისტრო მცოდნე კაცს გამოჰგზავნის, რომელიც კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრის ბ-ნ ქალანთარის ხელმძღვანელობით კავკასიის დაბებსა და ქარაქებში ლექციას წაუკითხავს ხალხს რძის წესიერად წარმოების შესახებ.

◆ თითქმის ყოველ დღე ადმ აჩენს ხოლმე ქალაქის გამგეობა, რომ ვინმე კერძო კაცს ქალაქის მიწა მიუთვისებია. ითვისებენ მომეტებულ ნაწილად იმისთანა მიწებს, სადაც ქალაქის გამგეობა მუდამ ვერ ხვდება. ქალაქის განაპირა ადგილებს კი, რომელნიც ჯერ ჯერობით ქალაქს უქმად აქვს, ყოველ დღე აკლებენ არამითხე პატრონები რამდენსამე საჟენს და ისაკუთრებენ. ამ ჟამად ქალაქის იურისკონსულტს მინდობილი აქვს, რომ საჩივარი აღძრას იმ მემამულეთა წინააღმდეგ, რომელთაც ქალაქის ადგილები მიუსაკუთრებიათ. ქალაქის გამგეობაში აღიძრა ამ ჟამად საკითხი იმის შესახებ, რომ გადაიღოს საჭირო თანხა ქალაქის მიწების დასამიჯნავად. გამიჯვნის დროს, ალბად, კიდევ აღმოჩნდება, თუ ვისა და ვის მიუთვისებია ქალაქის მიწები.

◆ ერთობ ცუდს მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი ტფილისის მცხოვრებნი იმის გამო,, რომ ქუჩებს მეეზოვენი დილისით ჰგვიან. განა შესაძლებელი არ არის, რომ მეეზოვეებმა იმ დროს დაჰგავონ ქუჩები, როდესაც ხალხი ჯერ არ აშლილა. არ გვგონია, რომ მხოლოდ ზოგიერთ ქუჩებს ჰგვიდნენ დილისით. თვით გოლოვინის პროსპექტს დილისით ჰგვიან, აყენებენ მტვრის კორიანტელს და გამვლელთ თვალებს სთხრიან.

❋ რედაქციამ მიიღო ქ. ადრიანოპოლიდგან ქართველ მაჰმადიანის სულეიმან დგებანიძის წერილი ოსმალურს ენაზე და თხოულობს გავუგზავნოთ სახელმძღვანელო ქართულ ენის შესასწავლად და რამდენიმე წიგნი: ლექსიკონი, ქართული გრამატიკა, რიტორიკა, პოეზია და სხვა. ბ-ნი დგებანიძე იწერება, სახელმძღვანელოები შეიძლება ბერძნულ, ფრანგულ ან გერმანულ ენებზედ იყოს, რადგან ეს ენები ვიცი და მათის მეოხებით შევისწავლი ქართულსაო. ბ-ნი დგებანიძე აფიცერია ოსმალეთის ჯარისა. წერილს ქართულადაც აწერს გაუბედავის ხელით: „დგებანიძე სოლეიმან საიდბი მეზარბაზნე (არტილერისტი), ანდრინოფელ“.

❋ ამას წინად მკითხველთ ვაუწყეთ, ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ დაადგინა, ქალაქის სკოლებისათვის საკუთარი შენობანი აიგოსო. ამ დადგენილების განხორციელებას კომისია კიდეც შეუდგა. ჯერ-ჯერობით ორი ადგილი მოსძებნა, სადაც შეიძლება სკოლის შენობის აგება. ადგილები კერძო კაცთ ეკუთვნით, ამიტომ ქალაქის გამგეობას სთხოვს ეს კომისია, შეიძინეთ ეს ადგილებიო.

❋ ტფილისის სამკურნალო გამგეობას აცნობეს, მანგლისსა და ერწოში მცხოვრებთა შორის ყვავილი გავრცელდაო. სამკურნალო გამგეობამ მკურნალი გაჰგზავნა, რომელმაც ღონისძიებანი უნდა მიიღოს ყვავილის მოსასპობად. სამკურნალო გამგეობას აზრად აქვს მანგლისის რაიონში ყვავილის წინააღმდეგ აცრა გააძლიეროს. ამ აზრით გაჰგზავნის რამდენსამე მკურნალს.

◆ თბილი ამინდები დაიჭირა თუ არა, მაშინვე შეუდგნენ ფუნიკულერის გზის კეთებას. ამ ჟამად დიდ-ძალი მუშები მუშაობენ. მამა დავითის მთის თავზე სადგურის აგებას მომავალ კვირას შეუდგებიან.

❋ 14 თებერვალს დანიშნულია კრება ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეულის საგანგებო კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს თვალ-ყური ადევნოს ქალაქის საძოვარ ადგილებს.

❋ 16 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია გორში შეუდგება საქმეების გარჩევას.

❋ სოფელ წვერში, — ტფილისის მაზრა მცხოვრებთა შორის ყვავილი გავრცელებულა.

## ჩვენებური ამბები

**დუშეთი.** (სამღვდელოების კრება. — არაგვზე ხიდის გაკეთება.) როგორც მოგეხსენებათ, ჩვენის სამღვდელოების ერთი საზრუნავი საგანია ეგრედ წოდებულის დრამის «შტატის» ფულის შეკრება. თვით სამღვდელოებას არა სურს დრამის ფულის აკრებაში გაერიოს და უნდა მზად შეკრებილი ფული სოფლებიდან ჩაიბაროს, როგორც ჯამაგირი ჰბარდება ხაზინიდან და [illegible] მოხვდეს განსაზღვრულ-გადაჭრილი ჯამაგირი

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## ღ ა ლ ა ტ ი *)

დრამა თავ. ა. სუმბათაშვილისა. (კრიტიკული განხილვა).

დღეს მთელი რუსეთის და საქართველოს გულის-ყურს იპყრობს თავ. სუმბათაშვილის რუსულად დაწერილი ახალი დრამა «ღალატი». დიდის აღტაცებით მიიღო ეს პიესა რუსმა და ქართველმა საზოგადოებამ; იგი შეიქმნა წელს სათეატრო სეზონის გვირგვინად. პიესის სიახლემ და ორიგინალობამ მიიზიდა თეატრში აურაცხელი ხალხი. რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები გაივსო ამ დრამის ქებადიდებით. რამდენსამე ჟურნალში დაიბეჭდა თვით პიესა. იგი გადაითარგმნა ქართულად. როგორც გავიგეთ, ეს დრამა გადაუღიათ ფრანგულად, გერმანულად და სურთ დადგან ევროპის სცენაზედაც. ერთი სიტყვით, მასა ხვდა წილად სწორედ ის იშვიათი აღტაცება, რაც ერგო ამ 5—6 წლის წინად როსტანის დრამას „სირანო დე-ბერჟერაკს“.

როცა რაიმე ახალი სალიტერატურო ნაწარმოები გამოიწვევს ხოლმე საზოგადოების აღტაცებას, მას უსათუოდ კრიტიკამაც უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და გაუკეთოს ჭეშმარიტი ანალიზი. ნეტა რა ჰქმნის რომელიმე თხზულების სახელს? რა იწვევს მისს აღტაცებას? ბევრი რამ. მათში უმთავრესია სამი: 1) ნაწარმოების შინაგანი ღირსება: ახალი აზრი, ღრმა ფსიხოლოგია, სიწრფელე, მხატვრობა და ორიგინალობა; 2) გარე ფორმა და ეფექტები და 3) საზოგადოების დიდის უმეტესობის ლტოლვა-მისწრაფებათა გამოსახვა. ნეტა რამ მოუპოვა ასეთი სახელი თავ. სუმბათაშვილის დრამას, ან ვინაა თვით ავტორი?

თ. სუმბათაშვილი ტომით ქართველია და თ-დ სუმბათაშვილთა შთამომავალი. როგორც ვიცით, ეს პატივცემული კაცი აღიზარდა რუსეთში, ბინადრობს მოსკოვში და შეუწირავს თავისი ნიჭი და ენერგია რუსულ სცენისათვის. მართლაც, მან დიდი სახელი მოიხვეჭა ამ ასპარეზზედ და შეჰქმნა არამც თუ რუსეთის პირველ-ხარისხოვანი მსახიობი, არამედ საუკეთესო დრამატურგიც. კარგმა გარეგნობამ, თავადის ხარისხმა, მკვირცხლმა ნიჭმა, ქართულმა რაინდობამ და სამხრეთის მგზნებარე ბუნებამ მოუპოვა თ. სუმბათაშვილს სიმპატია და სიყვარული მთელს რუსეთის საზოგადოებაში. დღეს დამწიფებულა ამ სახელოვან არტისტის სცენიურ-დრამატიული ნიჭი და, აჰა, მიუძღვნა მან რუსეთის საზოგადოებას თავის სამშობლოს და მასთან მთელს ევროპას ახალი დრამა «ღალატი».

რას ეხება ეს დრამა? იგი ეხება ქართულ ცხოვრებას. ავტორს სურდა დაეხატა პაწია რაინდულ ერის ტრაგიზმით სავსე წარსული და ერის ელმენტთა ხასიათები. სჩანს, თ. სუმბათაშვილს არ დაუვიწყნია შორეულ ჩრდილოეთში თავისი ტანჯული სამშობლო და მოუსურვებია გაეცნო თავის დედობილ რუსეთისათვის იმ ერის წარსული და გმირული სული, რომლის ისტორიაც აღემატება 5000 წელს და რომელიც საუკუნეთა სრბოლაში სასწაულებრივ გადაურჩა მუსლიმთა საშინელს გრიგალს, მტარვალობას და სისხლ დალეულმა მოატანა დღემდე ჯვარით ხელში. ავტორს არ დაუზოგავს თავისი ნიჭი და ხელოვნება, უხვად დაუფრქვევია შიგ თავისი გრძნობანი და სცდილა, რაც შეიძლება, კარგად დაეწერა დრამა, სცდილა გაეტარებინა შიგ თანამედროვე აზრები და მისწრაფებანი, ცდილა გაევსო ეფექტებით, რათა მაყურებელ საზოგადოებისათვის ესტეტიური სიამოვნება ეგრძნობინებინა. რაშია ნეტა ამ დრამის ღირსება ან რაა შიგ გამოყვანილი? ეს დრამაა ეფექტიური და ორიგინალური. შიგაა ჩაგრული ხალხის თავისუფლებისადმი ბრძოლა და გამარჯვება; სწორედ ამ თვისებით ჰხიბლავს იგი რუსის საზოგადოებას. ეს საზოგადოება და რუსეთის პრესსა ფრიად სუსტად იცნობს ქართულს სულსა და საქართველოს წარსულს, სუსტად იცნობს ჩვენებურ ტიპებსა და ხასიათებს, ამიტომ ვერც შევა მათ განხილვაში. მათ იტაცებს სუმბათაშვილის დრამაში ზემორე თქმული აზრი, ეფექტები და ფერადოვანი გარე ფორმა. (რად მოსწონს ეს დრამა ქართველ საზოგადოებას? მოსწონს მით, რომ იგი მოეწონა მთელს რუსეთს, მოსწონს, რომ შიგ თამარის მგზნებარე მონოლოგებია, მოსწონს, რომ შიგ მეტეხის აფეთქებაა, მტარვალის დამხობა, გამარჯვება და თავისუფლება). მონობის შემხუთავ ყინულის ქვეშ კანკარებს ქართველის სული, სული თავისუფლების მოტრფიალე, სული მტარვალთა მბრძოლი, სული მონობის ბორკილის შემმუსვრელი. — „ეს უკანასკნელი აღდგომაა! უნდა მოეღოს ბოლო ამ საზიზღარ მტარვალობას! თავისუფალი სამშობლო! თავისუფალი საქართველო!“... გესმით ეს სიტყვები რუსულ სცენაზედ ზეინაბის პირით და ეს ხმები ელექტრონის ნაკადივით ძრავს ქართველის არსებას, ზეცის ზარივით წკრიალებს ქართველის გულში. ნუ თუ გიკვირთ ამის შემდეგ, რომ ქართულმა პრესამ უძღვნა „ღალატს“ აღმზნებული ხოტბა, ქართველმა საზოგადოებამ-კი გაუგზავნა ავტორს ტფილისიდგან ამ პიესის რუსულად წარმოდგენის დროს გრძნობით აღსავსე დეპეშები?! მეტად გრძნობიერი და გულუბრყვილო ხალხი ვართ ქართველნი! ბევრი არ გვინდა, რომ გაგვიტაცოს აღტაცებამ და სიხარულმა...

დიდის მადლობის ღირსია თ. სუმბათიშვილი, რომ მას ახალი დრამის საგნად აუღია საქართველოს წარსული და სცდილა გაეცნო უზარმაზარ რუსეთისათვის ეს პაწია ერი. დიდი რუსეთი, სამწუხაროდ, თითქმის სულ არ გვიცნობს ქართველთ, არ იცის ჩვენი წარსული, ჩვენი სული და მისწრაფება. და როცა მწერლის ნიჭიერი კალამი აცნობს შემფარებელს შეფარებულის ვინაობას, ორივეს მხრივ მადლობის ღირსია იგი. მაგრამ შესძლო-კი ავტორმა ამ მძიმე ტეზისის ასრულება? დაგვიხატა-კი ქართველი ერის წარსული? გვამცნო-კი მისი სული და ლტოლვანი? აღნიშნა-კი სიმართლით ქართველის ტიპები და ხასიათები?

ბელეტრისტიკაში ყველაზე უფრო რთულად და საძნელოდ ცნობილია დრამატიული ნაწარმოები. ამათში-კი ყველაზედ უფრო ძნელია ისტორიული დრამა. აქ არ კმარა არც ნიჭი და ხელოვნება, არც ტეხნიკა და საგნის სიყვარული. თუ სურს, რომ სიმართლით დახატოს დრამაში რომელიმე ერის სული, ხასიათები და წარსულის სურათი, ავტორმა საფუძვლიანად უნდა იცოდეს იმ ერის ენა, ძველი და ახალი მწერლობა, ისტორია და ფსიხოლოგია; უნდა ცოცხლობდეს დიდხანს იმ ერში და გაეცნოს კარგად იმის სხვა-და-სხვა თემებს.

აქვს თუ არა თ. სუმბათაშვილს ეს ცოდნა? სამწუხაროდ, ცოტა. იგი სტუმრად თუ ჩამოსულა ჩვენში, იგი თუ იცნობს ქართველთა ერთს ჯგუფს, მის მეგობართ და თაყვანის მცემელთ ნადიმზედ მხურვალე სტუმრობის დროს გაცნობილთ. თ. სუმბათაშვილმა სუსტად იცის ქართული ენა, მას არა აქვს დრო და მოცალეობა ქართულის მწერლობისა ისტორიის შესასწავლად. მაშ სად და რა რიგ შეჰკრიბა მან მასალა თავისის დრამისათვის? ეს ჩვენთვის საიდუმლოა. ჩვენა ვფიქრობთ, რომ პატივცემული ავტორი გაეცნობოდა იმ მცირესა და უმნიშვნელო წყაროს, რაც არსებობს რუსულ ენაზედ, თანაც შეჰკრებდა ცნობებს თავის მეგობარ ქართველთაგან. მერწმუნეთ, რომ ეს არ კმარა რაიმე სერიოზულ ნაწარმოებისა და მეტადრე ისტორიულის დრამის დასაწერად. ამიტომ, ეჭვი არაა, ავტორს უნებლიედ შეეპარებოდა თავის ნაწარმოებში მრავალი შესამჩნევი შეცდომანი. სამწუხაროდ, სწორედ აგრე მოხდა.

ნუ ვეძებთ თ. სუმბათაშვილის პიესაში ისტორიულ სიმართლეს. თვით ავტორი გვიკარნახებს, რომ ეს დრამა ისტორიული ლეგენდააო, რომ ფაბულა და პიესის მომქმედნი მოგონილია და არც ხანაა აღნიშნულიო. მაგრამ „პიესის ამბავთა აზრი და შინაარსი, ხასიათი და ფსიხოლოგია მომქმედთა, როგორც ერის იდეიურ და ტიპიურ გამომსახველთა, და ბოლოს საქართველოს ისტორიის საერთო სული — იყო ჩემთვის განსაკუთრებულ ყურადღების და დაწვრილებითი შემუშავების საგნადაო“, — ამბობს ავტორი წინასიტყვაობაში. მაშ ჩვენ უნდა შევეხოთ ამ პიესას, როგორც ქართველის სულის, მისის ლტოლვის და მის ტიპთა ხასიათის და ფსიხოლოგიის გამომსახველს.

განვიხილოთ თვით დრამა. [illegible]რგად აღებულია ქართლ-კახეთის დაპ[illegible]ბა სპარ-

*) ამ წერილსაც იმავე აზრით ვბეჭდავთ, რომ, რაც შეიძლება, სავსებით და ნათლად გამოირკვეს ამ მესანიშნავის თხზულების ავ-კარგიანობა.

რედ.

ძლევა. ეს მით არ არის სასურველი სამღვდელოებისათვის, რომ ხშირად სულ უბრალოზედ უსიამოვნება ჩნდება ხოლმე მრევლსა და მოძღვართა შორის. ამავე საგნის შესახებ 1899 წელს საეპარქიო კრებაზედაც იქმნა ამორჩეული კომისია, მაგრამ, რადგანაც ჩვენებურ კამისიებიდან საზოგადოდ არა გამოდის რა, არც ამ კომისიიდან არა გამოვიდა-რა და დღემდე არაფერი არ ისმის. 22 იანვარს ერთხელ კიდევ შეიკრიბა დუშეთის მაზრის სამღვდელოება. მსჯელობა იმაზედ იყო: ან თვითონ პოლიციამ აკრიბოს დრამის ფული და ისე უკლებლად ჩაგვბარდეს ყოველწლივ, და ან ფურის ძლევა ფულით შეიცვალოს, გამოერთვას ხალხს ფული ისე, რომ ამ გამორთმევაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს სამღვდელოებამაო. კრებამ დაადგინა აგრეთვე, რომ ვთხოვოთ მთავრობას, რამდენიმე დესეტინა მიწა. სახნავი იქნება თუ სათიბი, მიეზომოს ყოველ ეკკლესიის კრებულს და ისე ისარგებლოს, როგორც მისი სურვილი იქნებაო. როგორც მოგეხსენებათ, რუსეთში დიდძალი მამულები უჭირავს სამღვდელოებას, სადაც-კი ეს მოსახერხებელია, და იმოდენა შემოსავალი აქვთ იქიდან, რამდენიც არ ექნება კარგ ჩვენებურს მემამულესაც და, რადგან ჩვენშიაც ბევრგან არის სახაზინო საეკკლესიო მამული, ამიტომ ვითხოვთ, რომ ის კანონი, რომელიც რუსეთის სამღვდელოებისათვის არსებობს, ჩვენშიაც იყოს შემოღებულიო.

მესამე საგანი ის იყო, რომ სამღვდელოებისათვის სასარგებლო და საჭირო არის კრებულის სადგომი სახლები. ყოველ მრევლში, უმაღლესის მთავრობის განკარგულებით უნდა იყოს აშენებული სახლი შესაფერისი და ახალ გეგმაზე მოწყობილი მღვდლისთვის და საზოგადოდ ეკკლესიის კრებულისთვის. ეს ასეც არის რუსეთში, სადაც ადმინისტრაციამ უკვე ააშენებინა ყოველგან სახლები. ჩვენში-კი ათასში ერთგან არ არის სახლი. ამიტომ სამღვდელოება ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია სოფელში უსახლკარობით; კრებამ გადასწყვიტა, სთხოვოს მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელს. რათა ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს სახლების აშენების საქმე სოფლებში და ყოველ მრევლში კრებულისთვის სახლები გაკეთდეს...

ამორჩეულ იქმნა კომისია და იმას მიენდო იშუამდგომლოს ამ საქმის მოსაწესრიგებლად.

როგორც მოგეხსენებათ, დუშეთის მაზრაში მდ. არაგვი ორად ჰყოფს, გაღმა და გამოღმა. არაგვის გაღმა მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში იყვნენ და არიან უხიდობის გამო და, როდესაც დუშეთში, სადაც თავ-მოყრილია ყოველი სამაზრო დაწესებულება, საქმე აქვსთ. ან აზვირთებულ არაგვში უნდა გამოტოპონ. ან კიდევ ძალიან დიდ მანძილზე უნდა მოიარონ, რითიმე გამოვიდნენ და დუშეთში მოვიდნენ. ბევრი ხიდები და ბოგირები გაკეთებულა არაგვზე, მაგრამ არც ერთ მათგანს დიდი ხნის დღე არა ჰქონია, რადგან, თუ ძლიერ მაგრად არ არის ხიდი გაკეთებული, გიჟ არაგვს ვერ გაუძლებს და მალე მეხეთისკენ გააქანებს.

არაგვზე ხიდის გაკეთების შესახებ ერთხელ იყო აძრული მთავრობასთან შუამდგომლობა, მაგრამ მთავრობამ შარშანდლამდე ვერ მოახერხა ხიდის გაკეთებისთვის ფულის გადადება და შარშან-კი 5,500 მ. გადასდო, რათა არაგვზე ერთხელ და სამუდამოდ მაგარი ხიდი გაეკეთდეს და წლისაგან მოწყვეტილნი დუშეთისა და თიანეთის მაზრის მცხოვრებნი ერთმანეთს დაუახლოვდნენ. მთავრობისაგან ინჟენრები არიან დანიშნულნი და მასთან კომისია, რომელშიაც მაზრის უფროსის გარდა, მონაწილეობას იღებენ: თ. ნ. ხიმშიაშვილი და გ. ზანდუკელი; ამათ დავალებული აქვთ იმ 5,500 მანეთის გარდა, რომელიც მთავრობამ გადასდო, შეჰკრიბონ ადგილობრივ საზოგადოებათაგან კიდევ 2,500 მ., რადგან სულ ხიდის გაკეთებას 8,000 მანეთი სჭირდება. ხიდის ადგილი ამორჩეულია ბულაჩაურსა და ბაგინეთის შუა, სადაც, ეტყობა, ძველ დროში მაგარი ხიდი ყოფილა და კედლის ბურჯები ეხლაც სჩანს. მასალის დამზადებასა და მუშაობას საგუბერნიო ინჟენრების ხელმძღვანელობით კიდევაც შეუდგნენ და სრული იმედი აქვთ რომ ზაფხულში ხიდი მზად იქნება, რაც ძალიან სასარგებლო და სასიამოვნო უნდა იყოს ყველასათვის.

ითხვისელი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 თებერვალი.

**პეტერბურგი.** იუწყებიან მამულიშვილურ შემოწირულებათა ამბავს: ასხაბადიდგან—კიზილ-არვატის სახელოსნოების მუშებმა და შტატის მოხელეებმა შუაგულ აზიის რკინის გზაზედ თითო კაპეიკი მანათზე ყოველ თვე, ვიდრე ომი გათავდებოდეს, რაიცა შეადგენს თვეში 500 მან., კონცერტიდან 1,320 მან., იმიერ-კასპიის 1-ლ მსროლელთა ბატალიონის ოფიცრებმა 150 მან., იქაურმა სომხებმა 1,130 მან. და წარმოდგენიდან 570 მან.; არხანგელსკიდან—დაიწყო მოქმედება დედათა გუნდმა საცვლების მოსამზადებლად; სიმბირსკიდან—საგუბერნიო სააქციზო მმართველობისა, საგუბერნიო მმართველობისა, ოლქის სამმართველოსა და საკონტროლო პალატის მოხელეთაგან პროცენტი ჯამაგირისა, ვორონეჟიდან იგზავნება სალაშქრო ქსენონი 100 საწოლით, რეველიდან—ბელომირსკის პოლკის ოფიცრებმა ერთი პროცენტი ჯამაგირისა, პოლტავიდგან—საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა გადასდოს ფლოტის გასაძლიერებლად 250,000 მან., წითელის ჯვრის სასარგებლოდ—25,000 მან., დახოცილ ჯარის-კაცთა ოჯახობის შემწეობის აღმოსაჩენად 25,000 მან. და დაუთმეს უფასოდ სამხედრო უწყებას 40 საწოლი საერობო სამკურნალოებში, ტიუმენიდგან—«სიბირ. ტორგ. გაზ.»-ის რედაქციამ გამართა ხელის მოწერა სათადარიგო ჯარის-კაცთა ოჯახობის სასარგებლოდ, სემიპალატინსკიდგან—მთავრობისა, საზოგადოებათა და კერძო დაწესებულებათა მოხელეთა და მსახურთ ათი პროცენტი ჯამაგირისა, ჩერნიგორიიდგან - მუხანოვმა—1,000 მანეთი., კოჩუბეიმ—1,000 მანეთი და როდიონოვმა—100 მანეთი, გომელიდგან—საბჭომ—3,000 მან., ხელის მოწერით—3,000 მ., ურთიერთ დამხმარე საზოგადოებამ—3,000 მან., სალიტერატურო გუნდმა—1,300 მან., გიმნაზიებისა სხვა დაწესებულებათა მსახურთ - თითო პროცენტი ჯამაგირისა და წარმოდგენიდგან დარჩა—600 მან., მოსკოვიდგან—საიმპერატორო დრამატიულმა დასმა—1,000 მან., კოვნოდგან—მოქალაქეთა საზოგადოებამ—5,000 მან., ბათუმიდგან საბჭომ—10,000 მან., ცივილსკიდგან საბჭომ—2,000 მან., ხელის მოწერით—519 მან.

პსკოვიდგანა და კიევიდგან იუწყებიან კურსების დაარსების ამბავს იმათთვის, ვისაც სურთ სათნოების დებად ყოფნა.

**პარიჟი.** რუსეთის ელჩმა მადლობა გამოუცხადა რუსეთის მთავრობის სახელით საფრანგეთის წითელის ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტს იმის გამო, რომ საზოგადოებამ იკისრა მანჯურიაში ქსენონის გაგზავნა ამბულატორიითურთ. ელჩმა ამასთანავე დასძინა, რომ სამხედრო ოპერაციები ხმელეთზე დაიწყება რამდენისამე კვირის შემდეგ და მხოლოდ მაშინ შეიძლება პრაქტიკულად საზოგადოების წინადადების განხორციელებაო.

**ტიან-ძინი.** («რეიტერის სააგენტო»). ჩინეთის ჯარის საზღვრებზე გაგზავნის დღე ჯერ არ გამოცხადებულა. მიზეზად უფრო იმას ასახელებენ, რომ რუსეთი არ დასთანხმდება მდ. ლიაოს ადგილები ნეიტრალურ ტერრიტორიად იცნოს იმ შემთხვევაში, თუ იქ ომი მოუხდათო.

**პეტრო-ალექსანდროვსკი.** ტელეგრაფის მავთულები განახლეს 8 თებერვალს, საღამოთი, ათის დღის შეჩერების შემდეგ. ზარალი წყალდიდობისაგან გამოირკვა: ჩვენგან წაილეკა და დაინგრა 200 სახლი; ხივის მხარეზე თუ რა ზარალი მოუვიდათ, არ იციან.

**სევასტოპოლი.** ვიცე-ადმირალმა სკრიდლოვმა ითავა შემოწირულებათა შეკრება საომარ გემთა შექმნისათვის და შესწირა გუშინ ამ საქმეს 100 მან.

**რომი.** ვიცე-ადმირალმა აველანმა დეპეშით მადლობა გამოუცხადა რუსეთის ფლოტის სახელით ზღვათა მინისტრს მირაბელლოს იმის გამო, რომ გემის „ელბას“ ეკიპაჟმა ღახმარება აღმოუჩინა რუსეთის კრეისერების ,,ვარიაგისა‘‘ და ,,კორეეცის‘‘ დაჭრილთ. მირაბელლომაც თავისის მხრივ გულითადი მადლობა გადაუხადა.

**რევალი.** ესტლიანდიის ჯვართ ამაღლების წითელის ჯვრის საზოგადოებამ გაჰგზავნა პორტ-არტურს პირველი რაზმი სათნოების დათა სასანიტარო მატარებლით; ეს რაზმი დიდმა მთავრინამ მარიამ პავლეს ასულმა მოამზადა და გაამგზავრა. მიმავალთ სადგურამდე აცილებდა გუბერნატორი აუარებელის ხალხის თანადასწრებით.

**თავრიზი.** იაპონიასა და რუსეთს შორის ომის დაწყების ამბავი აქ მიღებულ იქმნა კერძო ცნობებით; იმ დღესვე მთელს ქალაქს მოედო ხმები, რომ ვითომ იაპონელებმა პორტ-არტური აიღეს და რუსეთის ფლოტი დაამარცხესო. ეს ხმა რამდენსამე დღეს სჯეროდათ, სანამ რუსეთის საკონსულოდგან დამამშვიდებელი ცნობები არ მიიღეს.

**პეტერბურგი.** სცნო რა საჭიროდ გააძლიეროს რამდენისამე ხნის განმავლობაში საგუბერნიო ადმინისტრაციის უფლებანი საზოგადო წესრიგისა და მშვიდობიანობის დასაცველად ტომსკის გუბერნიის, ტომსკის მაზრაში, შინაგან საქმეთა მინისტრმა ხსენებულ მაზრაში გამოაცხადა გაძლიერებულ დაცვის წესრიგის შემოღება.

**ვაშინგტონი.** („რეიტერის სააგენტო“). მთავრობის წარმომადგენელნი შიშობენ,—ვაი თუ მეომარი სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ ერთ აზრზე კონტრაბანდების შესახებ და უთანხმოება მოუვიდეთო. შეერთებული შტატები იმ აზრისაა, რომ კონტრაბანდად უნდა ითვლებოდეს ნუზლ-სანოვაგე, მაგრამ უნდა დაამტკიცონ, რომ ხორაგი ერთ-ერთ მეომარ სახელმწიფოსთვის იგზავნებაო.

**ვარშავა.** გენერალ-გუბერნატორის მეუღლემ ჩერტკოვისამ გამართა საქველმოქმედო წარმოდგენა, რომლიდანაც დარჩა ხარჯ-გამოუკლებლად 22,000 მ.

**ვაშინგტონი.** («რეიტერის სააგენტო»). ქალ. დალნიში კონსულად დანიშნული მორგანი 14 თებერვალს გაემგზავრება სან-ფრანცისკოდგან და ახალ ბრძანების მიღებამდე დარჩება შანჰაიში.

**სტამბოლი.** პორტამ მიჰმართა ცირკულიარულის ნოტით თავისს წარმომადგენლებს და აუწყა, რომ ალბანელთა მოძრაობის შესახებ ცნობები გადაჭარბებულიაო. ალბანელთა მღელვარება დამცხრალია და მეთაურნი სასტიკად იქმნებიან დასჯილნიო.

**ვაშინგტონი.** («რეიტერის სააგენტო»). გერმანიისა, დიდ-ბრიტანიისა და იტალიის პრეტენზიები დაკმაყოფილებულ იქმნება ორის წლის განმავლობაში.

**სტამბოლი.** ბულგარიის დიპლომატიურმა აგენტმა დაარწმუნა პორტა და იმ სახელმწიფოთა ელჩები, რომელთაც ხელშეკრულობაზე ხელი უწერიათ, რომ ბულგარია მშვიდობიანობის გზას ადგიაო და აუწყა, რომ სარევოლიუციო კომიტეტთა წინააღმდეგ უკვე მიიღო საჭირო ღონისძიებანიო.

**სოფია.** (საკუთარის კორესპონდენტისაგან). სარწმუნო წყაროებიდგან იუწყებიან, რომ სამოქალაქო აგენტებს თხოვნები და საჩივრები მოსდით მთავრობის მოხელეთა, ბაშიბუზუკთა და გაწრთვნილ ჯართა ბოროტ-მოქმედების თაობაზედ ვედენისა და პრილეპის ოლქებში. ამიტომ სამოქალაქო აგენტებმა ხილმიფაშას ყურადღება მიაქციეს ამ გარემოებას.

**ვეი-ჰაი-ვეი.** („რეიტ. საგ.“). იაპონელებმა გადაიყვანეს კორეაში სამხედრო კორპუსი, რომელშიაც სამი დივიზიაა. ამ ჟამად გემებზედ სხამენ კიდევ 12 გვარდიის დივიზიას. სამხედრო მოქმედების ბაზისად იქმნება ჩემულპო. ჯარები მიდიან სეულით ჩრდილოეთისაკენ. მცირე რაზმები წინდაწინვე გაჰგზავნეს, რომ ღამზადონ ცხენების საკვებისათვის საწყობი. ჯარების საზოგადო მოძრაობას მოელიან ცელიანუსთან.

**ლონდონი.** „(რეიტერის ხააგენტო“). ,,daily Telegraph‘‘-ს ტოკიოდგან ამბავი მიუღია, რომ იქ გამოუქვეყნებიათ მთავრობის ცნობა კასანში რუსეთის მსროლელთა ჯარების მისვლის შესახებ. ან-ჩჟიუს ჩრდილოეთით ტელეგრაფის მავთულები დაზიანებულია.

**კოლომბო.** (,,რეიტერის სააგენტო‘‘) ცეილონის გუბერნატორმა დეპეშა მიიღო ახალშენთა მინისტრისაგან, რომ ჩემულპოსთან გადარჩენილი 325 რუსი მეზღვაური ინგლისის გემებით კოლომბოს მოვა და ცეილონში დარჩებაო.

11 თებერვალი

**პეტერბურგი.** ცირკულიარულად ეუწყათ გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ ამა 1904 წლის 9 თებერვლის თარიღით რუსეთის წარმომადგენელთ სამზღვარ-გარედ: „იმ წუთიდანვე, როცა რუსეთსა და იაპონიას შორის ძაფი გასწყდა და მტრობა ჩამოვარდა, ტოკიოს მთავრობის საქციელი ცხადი დათრგუნვაა იმ საყოველთაოდ შეწყნარებულ დადგენილებათა, რომლითაც განისაზღვრება ურთიერთობა განათლებულ სახელმწიფოთა შორის. საიმპერატორო მთავრობა დაწვრილებით არ განიხილავს ამ ჟამად ყოველ იმ შემთხვევას, როცა ეს დადგენილებანი დაარღვია

სთაგან და მათი უზომო მტარვალობა. ქვეყანა გაოხრებულა, ციხე-ქალაქნი და ეკკლესია-მონასტრები დანგრეულა, ხალხი გაწყვეტილა, ნაწილი შეხიზნულა მთებში. საეკლესიო ქალ-ვაჟნი იგზავნებიან ირანში და ამკობენ სპარსთა ჰარამხანას. ყველგან კაცის კვლა, სისხლი და წვალებაა. ოცი წელია ჰზარავს ივერიის ველმინდორს ქართველის კვნესა-ტანჯვა და მტარვალის ზეიმი და სიხარული. ერი ილუპება, ყოველი იმედი თითქო გამქრალა.—„არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..“ ზეციერ რისხვად გაისმის სოლეიმან-ხანის მრგვინვარე ხმა: მოჰკალით გიაური! დაალრჩვეთ! მოჰკვეთეთ თავი! გაჰგლიჯეთ! წაართვით ყველაფერი! გაჰგზავნეთ ჰარამხანაში!.. ყველგან მტარვალობა, ყველგან უზომო ძალმომრეობა. და აჰა, იღვრება ქართველის უმანკო სისხლი! იბილწვის მუსლიმანთა ხელით ჯვარი და ეკკლესია, ანადგურებს ბარბაროსი ქართულ კულტურას, ეხდება მტარვალის მიერ ივერიის ასულს ნამუსი.. თვით უწმინდესი მამა, ქათალიკოსი, ვერ ასცდენია მტარვალის მრისხანებას; თვით აღდგომა ღამეს, ზეწაარ ლიტონიის დროს, მოსჭრიან თავს და მიართმევენ ულმობელ ხანს. ნეტა ვინ შველის სოლეიმანს თავისს საზიზღრობასა და ქვეყნის გასრესაში? ვინა და თვით ქართველნი: თამარ და ოთარი. ეს ორია უმთავრესი დრამაში. თამარ (ზეინაბი) თეიმურაზ მეფის ქვრივია, ქართველი ქალი, დედოფალი, ამ ჟამად მთავარი ცოლი სოლეიმანისა; ოთარი—სარდალია, უშიშარი ძომარი და ლომი საქართველოსი, ერთის სიტყვით, გმირი და მამულის დამცველი. ვინ ხდება ქვეყნის მოღალატედ და ვინ აგებინებს სოლეიმანს შეთქმულობას? ვინა და გარყვნილი რუქაია და ტახტის მემკვიდრე ერეკლე.

მე არას ვიტყვი აქ დრამის წვრილმან დეფექტებზე, როგორიცაა, მაგ., თავადის ასულის გაიანეს მიერ დათო გლეხის უცებური სიყვარული, ანანია გლეხის მიერ მეტეხის აფეთქების დროს თქმა, თუ როგორ დაუვლის ბუქნას ერეკლეს ქორწილში, ან დედის მიერ ოც წელს შვილის უნახაობა და მოთმენა, ან გლეხის დედაკაც ისახარის ფილოსოფია და სხვა ამგვარი. მინდა მხოლოდ მკითხველის ყურადღება მივაპყრა დრამის ქართველ უმთავრეს ტიპებს, ე. ი. თამარს, ოთარს, ერეკლეს, ანანიას და მთებში მიმალულს ორს გმირს სემბატს და ორბელიანს; ამათის ანალიზით ვცნობთ, თუ როგორ შეუგნია ავტორს ქართველი სული, ისტორია და ერის ელემენტთა ხასიათი. დავიწყოთ თამარიდან.

ოცის წლის თამარს მოუკლეს ომში საყვარელი ქმარი, თეიმურაზ მეფე, გაუოხრეს და გაუთელეს ძვირფასი სამშობლო. რას შვრება თამარი? ის რჩება ტფილისში, იჩოქებს მტარვალის წინაშე, აძლევს ციხის კლიტეს და უხდება მას ცოლად. ეს ქალი იცვლის სახელს და ირქმევს ზეინაბს, იღებს მაჰმადის სჯულს, ეწყობა თათრულად და ოცის წლის განმავლობაში ატკბობს, ეხვევა და ეალერსება მტარვალ სოლეიმანს. მას შესწირა და გაათელვინა ფეხქვეშ თავისი სინიდისი, ნამუსი, სახელი, გრძნობა, სული და ადამიანობა. ბოლოს ხდება მაჰანკლადაც-კი და ჰგვრის გარყვნილ აზიელს ლამაზ ქალებს და როცა სოლეიმან ეტრფის და ეალერსება ხოლმე ლამაზს, ამ დროს თამარი ჰზის იქვე მოშორებით და თარით ატკბობს მტარვალის ყურთა სმენას. ამას არა კმარობს ქართველი დედოფალი: იგი ხელს უწყობს სოლეიმანს ყოველგვარ საზიზღარ მტარვალობაში; თამარი ასე აქეზებს მას: „ნუ გშურს მათი (ე. ი. ქართველთა) სისხლი! გასთელე და გასრისე ისინი ფეხ-ქვეშ! მხოლოდ შიში გაასწორებს მათს მატყუარა გულსაო!“ ერთის სიტყვით, თამარი შექმნილა ქვეყნის რისხვად, მის წინ თრთის სისხლ დაწრეტილი ქართველი ერი.

მაგრამ ეს თურმე სულ განგებ ყოფილა. თამარს გატაცებით უყვარს თურმე თავისი ერი, მას სძაგს მტარვალი. ქალს შეეძლო გაქცევა იმერეთსა და გურია-სამეგრელოში, ან მთებში შეფარება, ქალს ჰპირდებიან შველას, მაგრამ ის არსად მიდის, ის არაფერს თხოულობს; იგი რჩება ტფილისში შურის საძიებლად; ის უცდის დროს,—მას ეზრდება ვაჟი. დადგა სასურველი დრო. თამარი მიიმხრობს ოთარს და ჰგზავნის ერეკლეს და ანანიას მეტეხის ასაფეთქებლად. ქალის ბაგეთაგან გვესმის მწვავე მონოლოგები, სადაც სჭვივის ტკბილი იმედები, თავისუფლების სანეტარო სიო, სამშობლოს უზენაესი სიყვარული, მტარვალისადმი-კი უზომო სიძულვილი და შურის-ძიება. ერთის სიტყვით, ავტორს სურს დაგვიხატოს თამარით ქართველი ქალის მტკიცე სული, ხასიათი და მისწრაფება. თამარი უუმთავრესი გმირია, ის გულია და გვირგვინი მთელის პიესისა. განვიხილოთ, თუ რამდენად მართლადაა დახასიათებული თამარი, რამდენად ეხამება ქართველი ქალის ფსიხიკას თამარის მოქმედება.

ნუ თუ მართლა ჩაიდენდა ქართველი ქალი ყოველსავე იმას, რაც ჩაიდინა თამარმა? ნუ თუ გვინახავს ამგვარი მაგალითი საქართველოს გრძელს ისტორიაში? ვგონებ არა.

საქართველოს წარსულში ჩვენ ვიცნობთ ქართველ ქალს ჯვარით ხელში ქრისტეანობის მქადაგებელს და მთელის ერის განმანათლებელს ახალის მოძღვრებით; ვიცნობთ ქართველ ქალს უზომოდ სათნოს, გონებით მაღალს, სულით და ხორცით ძლიერს და მშვენიერს, ამასთან ბრწყინვალე მეფეს; ვიცნობთ ქართველ ქალს ხასიათ-მტკიცეს, შეუპოვარს და ქრისტეს სჯულისთვის წამებულს; ვიცნობთ ქართველ ქალს მკურნალს, მწიგნობარს, განათლებულს, ხელოვანს და დიპლომატს; ვიცნობთ ქართველ ქალს გმირს, მამულიშვილს, კაცურად ჩაცმულს და ვაჟკაცივით მებრძოლს იარაღით ხელში; ვიცნობთ ქართველ ქალს ქმარ-შვილის ერთგულს, მათს გამამხნევებელს გაჭირვებაში და ოჯახის ფუძეს, მასთან ლომივით მებრძოლს ოჯახისა, შვილებისა და ნამუსის დასაცველად; და ბოლოს ვიცნობთ ქართველ ქალს სპარსეთ-ოსმალეთში გატაცებულს, ან ძალად გათხოვილს, სადაც მას არ დაუვიწყნია არც ქრისტე და ჯვარი, არც ენა და სამშობლო. ამგვარი მაგალითები მეტად ბევრია ჩვენს ისტორიაში. მაგრამ ჩვენ ვერ ვიცნობთ ჩვენს წარსულში იმისთანა ქალს, რომელსაც, თუნდ განგებ, თავის ნებით დაეტოვებინოს ქრისტეს სჯული, გამხდარიყოს მტარვალის ცოლი და შეეწიროს მისთვის თავისი ნამუსი და ადამიანობა, მასთან წაექეზებინოს მტარვალი თავის ერისა და ნათესავთა წინააღმდეგ. და ეს იმიტომ, რომ ოდესღაც ვუშოვი დროს და შურს ვიძიებო. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ყოველივე ეს ავტორის ფანტაზიაა, საოცარი გადაჭარბება, და არამც თუ ქართველი ქალის, არამედ საერთოდ ქალის ფსიხოლოგიურ სიმართლეს მოკლებული *). როგორც დრამიდანა სჩანს, თამარს შეეძლო თურმე გაქცევა, დასავლეთ საქართველოს მომხრობა, მთიელთა გამაგრება და აჯანყება, მაგრამ ამას კი არ ნდომობს. ამის ნაცვლად თამარი რჩება მტარვალთან და ოც წელს იტანჯება. ნეტა რისთვის და ვისთვის, ნეტავი გამოადგა ეს თავგანწირვა, ეს ხანგრძლივი ლოდინი? მოამზადა მან ხალხი ან აამბოხა იგი?—არა. ან შეეძლო კი თავის სიმკაცრით გამოეწვია ხალხში რაიმე ამბოხი იმ დროს, როცა ეს ხალხი ისედაც გასრესილი იყო ერთიანად მტარვალის ფეხ-ქვეშ?—არა და არა. თამარი თავისის სიმკაცრითა და მოქმედებით იწვევდა ერში მხოლოდ შიშს, ზიზღსა და მძულვალებას. თამარის მოქმედება მაგონებს რაღაც ზღაპრებს და მელოდრამის ტიპებს. ვიმეორებ: თამარის მოქმედებას არა აქვს არავითარი კავშირი ქართველ ქალის ფსიხოლოგიურ სიმართლესთან. ეს ტიპი არაა ისტორიული. თამარის მოქმედებაში ვერ ვსცნობთ ქართველის ქალის სულს...

ს. ქვარიანი

(დასასრული იქნება)

*) ქართველ ქალს წარსულში ნათლად ახასიათებდა მისის ნამუსის სიმტკიცე-სიფაქიზე. ის თავისს ნამუსს არავის შესწირავდა, არავის გაათელვინებდა. ეს ქართველი ქალის განსაკუთრებითი თვისებაა. მასთან ქართველი ქალი ფრიად იშვიათად მიმართავდა ხოლმე ცბიერებას. ქართველი ქალის რაინდულს სულს ეხამებოდა მხოლოდ სისწორე და პირდაპირობა. ქართველი ქალი, უწინარეს ყოვლისა იყო ალ[illegible]ი. თ-დ სუმბათაშვილს კი ეს ქართველი ქალი გამოჰყავს ცბიერად და თვალთმაქ[illegible], რითაც, სამწუხაროდ, ამცირებს ჩვენი ქალის ფსიხიკის უვიცობას. თამარისებური მაგალითი კი ფრიად იშვიათია მსოფლიო ისტორიაშიც.

იაპონიამ; საჭიროდ სთვლის მიაქციოს მხოლოდ ყოვლად ბეჯითი ყურადღება დიდთა სახელმწიფოთა იმ ძალმომრეობას, რომელიც იკისრა იაპონიის მთავრობამ კორეის მიმართ. დამოუკიდებლობა და ხელ-შეუხებლობა კორეისა, როგორც სრულიად თავისუფალ სახელმწიფოსი, შეწყნარებულია ყოველის დიდის სახელმწიფოსაგან. შეურყევლობა ამ ძირითადის პრინციპებისა შემტკიცებულ იქმნა სიმონოსეკის ტრაქტატის პირველ მუხლით და იმ ხელ-შეკრულობით, რომელიც სწორედ ამ აზრით იქმნა დადებული ინგლისსა და თვით იაპონიას შორის 17 (30) იანვარს 1902 წ., აგრეთვე საფრანგეთ-რუსეთის დეკლარაციით 3 (16) მარტს იმავე 1902 წელსა. კორეის იმპერატორი წინადვე ჰგრძნობდა, რომ შესაძლოა რუსეთსა და იაპონიას ომი მოუხდეთო და ამიტომ ამ წლის იანვრის დამდეგსვე მან მიჰმართა დეპეშით ცირკულიარულად ყველა დიდ სახელმწიფოს და შეუთვალა, გადავსწყვიტე ყოვლად მტკიცე ნეიტრალიტეტი დავიცვაო. ეს ამბავი თანაგრძნობით იქმნა მიღებული დიდთა სახელმწიფოთა უმრავლესობის, მათ შორის რუსეთის-მიერაც. დიდ-ბრიტანიის მთავრობამაც იაპონიასთან ერთად ხელი მოაწერა ზემოხსენებულ ხელ-შეკრულობას 17 (30) იანვარს 1902 წელს და, როგორც იუწყებოდა რუსეთის ელჩი კორეაში, მიანდო თავისს ელჩს სეულში ოფიციალურის ქაღალდით, გადაეცი კორეის იმპერატორს მადლობა იმ მტკიცე ნეიტრალიტეტისათვის, რომელსაც დაადგება კორეა, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა რუსეთსა დ იაპონიას შორისაო. იაპონიის მთავრობამ არაფერს ამას არ მიჰხედა, უარ-ჰყო ყოველივე ხელ-შეკრულობანი და თვისნი საკუთარნი ვალდებულებანი და, ძირითად საერთა-შორისო კანონების წინაალმდეგ, როგორც ნამდვილად გამოირკვა, შეუდგა: 1) ჯერ ისევ ომის დაწყებამდე რუსეთთან, ჯარების გადასხმას კორეის დამოუკიდებელ სახელმწიფოში, თუმცა ამ სახელმწიფომ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა; 2) თვისის ესკადრით უეცრივ დაეცა 26 იანვარს, ესე იგი სამის დღის წინად ომის გამოცხადებამდე, სანეიტრალო პორტ ჩემულპოში მყოფ რუსეთის ორს სამხედრო გემს, რომელთა კომანდირებსაც ვერ ეცნობებოდა, შესწყდა ყოველივე ურთიერთობა რუსეთსა და იაპონიას შორისაო; ვერ ეცნობებოდა იმიტომ, რომ იაპონელებმა ბოროტ-განზრახულებით წინდაწინვე მოსპეს გადაცემა რუსეთის დეპეშებისა დანიის საზოგადოების კაბელის შემწეობით და გააფუჭეს კორეის მთავრობის სატელეგრაფო მავთულები. დაწვრილებითი ცნობანი შემაძრწუნებელის იერიშისა, რომელიც მიიტანეს იაპონელებმა რუსეთის ზემოხსენებულ გემების წინაალმდეგ, მოხსენებულია რუსეთის სეულელ ელჩის ოფიციალურ დეპეშაში; 3) არსებულ საერთა-შორისო დადგენილებათა წინაალმდეგ, იაპონიის მთავრობამ, ჯერ ისევ ომის დაწყებამდე, რამდენისამე დღით ადრე, შეიპყრო, სამხედრო დავლის მსგავსად, რუსეთის ის სავაჭრო გემები, რომელიც კორეის ნეიტრალ ნავთსადგურებში იდგნენ; 4) შეუთვალა კორეის იმპერატორს, თვისის სეულელ ელჩის პირით, რომ დღეიდან კორეა იაპონიის გამგებლობაში იქმნებაო და თან გააფრხილა, თუ არ დაგვმორჩილდი, იაპონიის ჯარი დაიჭერს სასახლესაო; 5) მიჰმართა საფრანგეთის ელჩის პირით რუსეთის ოფიციალურს წარმომადგენელს, რომელიც კორეის იმპერატორთან იმყოფებოდა,—კორეას თავი დაანებე მთელის მისიითა და საკონსულოთიო. საიმპერატორო მთავრობას ყველა ეს ფაქტები მიაჩნია საერთაშორისო უფლების საყოველთაოდ შეწყნარებულ კანონების ყოვლად კადნიერ დარღვევად და ამიტომ თავის მოვალეობად სთვლის ახლავე აუწყოს ყველა დიდ სახელმწიფოს, რომ იგი პროტესტს აცხადებს იაპონიის მთავრობის საქციელის წინაალმდეგ და სრულიად დარწმუნებულია, რომ ყველა სახელმწიფო, რომელიც-კი აფასებს იმას, რაც უზრუნველ-ჰყოფს სახელმწიფოთა კანონიერ ურთიერთობას, თანაგრძნობით მოეკიდება რუსეთის შეხედულებას. ამასთანავე საიმპერატორო მთავრობა საჭიროდ [illegible] წინდაწინვე გამოაცხადოს, რა-კი [illegible] მიითვისა იაპონიამ სახელმწიფ[illegible] [illegible]ვთ, კორეაში, რუსეთი არ შეიწყ[illegible] [illegible]ველ იმ განკარგულებასა და განც[illegible]ისა, რომელიც გამოქვეყნებული იქნება კორეის მთავრობის სახელით. კეთილ ინებეთ და აცნობეთ ესე ყოველივე იმ მთავრობას, რომლის წინაშეც თქვენა ბრძანდებით დადგენილი».

**პეტერბურგი.** საზამთრო სასახლეში მისმა უდიდებულესობამ ინება და მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის თანადასწრებით პეტერბურგის გუბერნატორი და დეპუტაცია, არჩეული პეტერბურგის საერობო კრების მიერ უქვეშევრდომილეს ადრესის მისართმევად შორეულ აღმოსავლეთის ამბავთა გამო. დეპუტაციაში არჩეულ აქმნენ: თავსმჯდომარე პეტერბურგის საგუბერნიო საერობო კრებისა, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი კამერ-იუნკერი გრაფი გუდოვიჩი, თავსმჯდომარე პეტერბურგის საერობო გამგეობისა და ხმოსნები საგუბერნიო კრებისა. ხელმწიფე იმპერატორმა მოისმინა ყოვლად უქვეშევრდომილესად მოხსენებული პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მიერ გარდაწყვეტილება საგუბერნიო საერობო კრებისა უქვეშევრდომილესის ადრესის მირთმევის თაობაზედ, შემდეგ თვით ადრესიცა და მიჰმართა იქ მყოფთ შემდეგის ყოვლად-მოწყალე სიტყვებით:

,,დიდად მადლობელი ვარ ს.-პეტერბურგის საგუბერნიო ერობისა გამოთქმულ გრძნობათათვის. დიდად მანუგეშებს ამ ჩვენთვის სამძიმო დროს ერთ-სულობით გამოთქმა მამულის მოყვარეობისა, რომელიც აღწევს ჩემამდე რუსეთის ყოვლად შორეულ ქვეყნებიდან. ვსასოებ შეწევნასა ღვთისასა, ღრმადა მრწამს სამართლიანობა ჩვენი და მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ ჯარი და ფლოტი ყოველსავე შეასრულებს, რაც სათანადოა რუსეთის ქველ,მხე დრობისათვის რუსეთის სასახელოდ და სადიდებლად''.

ზემოხსენებული ადრესი პეტერბურგის საგუბერნიო ერობისა შემდეგის შინაარსისა იყო: ,,ყოვლად მოწყალეო ხელმწიფეო! ს.-პეტერბურგის საგუბერნიო ერობის საგანგებო კრება, მოწოდებული დღევანდელ ყოვლად საყურადღებო დროს, ჰგრძნობს-რა ღრმად, რაოდენად საჭიროა განუკვეთელი კავშირი და სრული ერთობა თქვენის უდიდებულესობისა და თქვენის ერთგულ ქვეშევრდომის ერობისა, გამოსთქვამს თქვენს წინაშე, საყვარელო ხელმწიფეო, თვისის თავგანწირულის ერთგულების გრძნობასა. ს.-პეტერბურგის საგუბერნიო ერობა, რომლის მოწოდებაა იზრუნოს მკვიდრთა ნივთიერ და გონებრივ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის და რომელიც მხნეობს, ყველა წოდების წარმომადგენელთა სახით, საერო კეთილდღეობის მშვიდობიანს ასპარეზზედ, ღრმად შეძრწუნებულია მით, რომ თავგასულმა მტერმა ასეთის კადნიერებით დაარღვია თქვენ-მიერ მზრუნველობით დღემდე დაცული მშვიდობა, და ბურჯივით განმტკიცებულია ჩვენის სამშობლოს მამის ტახტის წინაშე. შეურყეველია დიდება რუსეთისა და მისის მონარქიისა. აკურთხოს ღმერთმან ღვაწლი ძლევა-მოსილის თქვენის მხედრობისა, ხელმწიფეო, და დაიცვას მან ძვირფასი ძალღონე და სიმრთელე თქვენი''. 10 თებერვალს ბედნიერება ჰქონდათ და წარუდგნენ მისს უდიდებულესობას ტვერის გუბერნიის თავად-აზნაურნი.

**სოფია.** (ოფიციალურ ცნობებიდგან). როგორც კერძო ცნობებიდანა სჩანს, ალბანელთა მოძრაობა არამც თუ სუსტდება, პირ-იქით ძლიერდება. შემსი-ფაშა ლუმის ახლო დასჭრეს და სტამბოლში გაიწვიეს. რამდენიმე ჯარის-კაციც არის მოკლული. მეამბოხე ალბანელთა რიცხვი 30 ათასამდეა. ოსმალეთის ჯარს დიაკოვოსაკენ ახალი ჯარი მიაშველეს. სალონიკში ასამდე ტყვე ალბანელი მოიყვანეს.

**სოფია.** („კორ. ბიურო“). მაკედონიაში ხმა დადის,—კომიტეტთა უმთავრესს გამგეობას უნდა პირობით შეკრულ სახელმწიფოებს მიმართოს წერილით, რომლითაც ვალდებულად გახდიან თავიანთ თავს, რეფორმათა შემოღების საქმეს ხელი არ შეუშალოს.

**მადრიდი.** მართებლობა მთლად პორტუგალიის საზღვრებზე ჯარს აძლიერებს.

**პარიჟი.** პრეზიდენტ ლუბეს ჰქონდა ბალი, რომელზედაც დაესწრნენ თითქმის ყველა დიპლომატები. მთელის საღამოს განმავლობაში ყველას ყურადღება იყო მიპყრობილი ელჩ ნელიდოვისა დ რუსეთის საელჩოს წევრთა მიმართ.—მემარჯვენეთა ჯგუფმა სენატში გადასწყვიტა, განვუცხადოთ ჩვენს მეგობარ და მოკავშირე ერს, ომში ჩათრეულს, რომლის თავიდამ აცილებასაც ყოველის ღონით ცდილობდა, გრძნობა ერთგულებისა და ვისურვოთ, რომ საფრანგეთმა ნამდვილად შეასრულოს თავისი მისდამი მოცემული ვალდებულებაო. ჯგუფმა გადასწყვიტა 500 ფრანკი (?) გადასდოს რუს მხედართა დაჭრილთათვის. ჯგუფმა სენატის სარესპუბლიკო კავშირისამ აგრეთვე ერთხმად განუცხადა მეგობარსა და მოკავშირე ერს თვისი თანაგრძნობა და გადასდო 1,000 ფრანკი (?) დაჭრილ მხედართათვის.

**ტოკიო.** იაპონიის იმპერატორმა მიიღო სამი ინგლისელი აფიცერი, რომელთაც მოიყვანეს იაპონიაში კრეისერები „ნისსინი“ და «კასსუგა» და უბოძა არაჩვეულებრივი საჩუქრები, სახელდობრ, ორდენები, რომლითაც აჯილდოვებენ ხოლმე იაპონიის აფიცრებს 11 წლის სამსახურის შემდეგ. ოფიცრები ნახავენ კობეს და სხვა ქალაქებს, სადაც იაპონელებს სურთ დიდის ამბით პატივი სცენ ამ აფიცრებსა.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში დეპეშაში ბომბეიდგან ასე უნდა წაიკითხოთ: „კვეტის გარნიზონის ერთმა ნაწილმა, ამათში ერთმა ინგლისელთა პოლკმა და სამთო არტილერიის ბატარეამ, როგორც ხმა ისმის, ბრძანება მიიღეს ლაშქრად წასვლისა მუშკისაკენ“.

11 თებერვალი.

**კოპენჰაგენი.** ჩრდილოეთის უმთავრესმა დეპეშათა საზოგადოებამ აცნობა, რომ დეპეშის გადამცემი მავთული პეკინკიახტისა, რომელიც კერძო დეპეშებს არ იღებდა, ხვალიდან გაიხსნება და მიიღებს დეპეშებს აღმოსავლეთ აზიაში.

**სტამბოლი.** ორთავე სამოქალაქო აგენტმა აუწყა თავთავის სახელმწიფოებს, რომ ისინი კმაყოფილნი არიან რეფორმათა უმთავრესის ინსპექტორის მოქმედებით, რომელიც ყოველის ღონით ცდილობს აასრულოს რეფორმები და გაშინჯოს საჩივრები.

**პორტ-არტური.** იაპონიის საქციელის გამო ,,ნოვი კრაი'' ამბობს: ,,უნებურად უნდა ეთქვას მწარე საყვედური ევროპის სახელმწიფოებს, რომელნიც აჩქარდნენ და იაპონია ჩასთვალეს განათლებულ სახელმწიფოთა შორის''.—ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში ბრძოლის ველზე არა ვითარიმე ცვლილება არ მომხდარა. პორტ-არტურში ყოველ დღე მოდის მატარებელი და მოაქვს სანოვაგე.

**სამარკანდი.** ტაშკენტში გამოიარა თურქესტანის გენერალ-გუბერნატორმა, ხალხს და მოხელეებს გადასცა ხელმწიფე იმპერატორის სალამი და ჯარს მეფის ,,მადლობა''. რუხის ქალაქის დეპუტატებმა, იქაურმა და ებრაელთა საზოგადოებამ პურ-მარილი მიართვეს და პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს: ჩვენ მზათა ვართ შევწიროთ ჩვენი ცხოვრება-ქონება მეფესა და მამულსაო. უჩვეულებრივო აღტაცებაა.

**სტოკჰოლმი.** მთავრობამ მოიწვია სათადარიგო ჯარის კაცნი ქვეითი და არტილერიისა, აგრეთვე გუსარისა და დრაგუნების პოლკებისა.

**ბრესტი.** ორი ნაღმიანი გემი ალჟირს წავიდა და იქიდან გაემგზავრება შორეულ აღმოსავლეთში ერთის კრეისერით და კიდევ ორის ნაღმიანის გემით.

**პეტერბურგი.** რომ დაუყოვნებლივ იყოს მიმოსვლა სამარ-ზლატოუსტოვის და ციმბირის რკინის გზებზედ, უმაღლესი ბრძანება მიეცა უმართებულესს სენატს 7 თებერვალს და ორთავე გზა სამარ წესის კანონს დაექვემდებარა.—უმაღლესის ბრძანებით 8 თებერვალს მთავარი უფროსი კრონშტადტის ნავთსადგურისა ვიცე-ადმირალი მაკაროვი დაინიშნა დიდი ოკეანეს ფლოტის უფროსად.—დღიდან რუსეთისაგან იაპონიასთან ომის გამოცხადებისა უმთავრეს შტაბში აღურიცხველი თხოვნები მიდის სხვა-და-სხვათაგან და თხოულობენ გაგზავნონ შორეულ აღმოსავლეთის მომქმედ ჯარში. სამხედრო მინისტრმა, მიიღო რა მხედველობაში ასეთი პატრიოტული გრძნობანი, მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს, რომ შესაძლოა რამოდენიმე მათგანი მიღებულ იქმნან სამხედრო სამსახურშიო, და უმაღლესი ნება-რთვა მიიღო. მიღება იქნება ამნაირად: 1) მიიღებენ იმათ, რომელნიც 40 წელს არ გადასცილებიან და აქვთ რაიმე სამხედრო მომზადება, ე. ი. ყოფილან ნამდვილ სამხედრო სამსახურში და სათადარიგო ჯარის კაცად ყოფილა ჩარიცხული. 2) იმათგან შესდგება კომანდები პეტერბურგის, ვილენის, ვარშავის, კიევის, ოდესის, მოსკოვის, ყაზანის და კავკასიის სამხედრო ოლქების შტაბთა განკარგულებითა. 3) ნებაყოფლობით შესულთა რიცხვის დაგვარად, გაიგზავნებიან ისინი შორეულს აღმოსავლეთში.—10 თებერვალს არავითარიმე ოფიციალური ცნობანი არ მოსულ შორეულ აღმოსავლეთიდან.—დაინიშნა მესამე გვარდიის დივიზიის უფროსი ბარონი მელლერ-ზაკომელსკი მეშვიდე კორპუსის უფროსად.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

### პეტერბურგის ბირჟა

3 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,25 |
| ბერლინში 100 მარკაში | 46.02½ |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,50 |
| ლონდონში ჩეკები | 95,05 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,72½ |
| ბირჟის დისკონტი | 5½—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93¼ ნის გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 92½ მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 265 ნის.გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 307 |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 252 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს ს. 28 წ. 3) შუა დღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამო 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამგზავროებით).

**ყარს-ერივანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ3

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

**ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.**

,,ივერიის'' რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ ,,ივერიაში'' ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 **მან.**).

ქუთაისის საცადი მინდორი ჰყიდის დამყნილ ხეხილს და ამერიკულ ბამბის თესლს ყოველ საქმის დღეს. თვითონ საცად მინდორში (წყალ-წითელა), პარასკევობით და კვირაობით— საკუთარ საწყობში (ქუთაისი, ფრანგების ქუჩა, თავ. მიქელაძის შენობა).

ხსენებულ მასალის შეძენა შეიძლება აგრეთვე ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა ,,კოლხიდის'' საწყობში (ბალახვანის ქუჩა, ამხანაგობის შენობა). (3—3)

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ს. გ. თოფურიას**

## სამკურნალოში,

**რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. [illegible]ადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

## ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი ისყიდება ზომიერ ფასებით ფ. ავსარქისოვის მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა. ფ. ავსარქისოვს. კატალოგები ეგზავნება მსურველთუფასოთ. (10—4)

**ტყიბულის ქვა-ნახშირის სამთა-მადნო საზოგადოებისაგან**

«ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოების» გამგეობას ჰყავს ღუმელების გამოცდილნი გამკეთებელნი და გადამკეთებელნი, რომელნიც ისე მოაწყობენ ღუმელს, რომ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირით ხურდებოდეს, რაიცა 45%-ს ეკონომიას იძლევა შეშასთან შედარებით. ვისაც უნდა ამისთანა ღუმელების გაკეთება, ან გადაკეთება, მიჰმართოს საზოგადოებამ ,,ნახშირის'' გამგეობას. სოლოლაკის ქუჩა, № 16, ტელეფონი 16. (3—3)

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი

# წიგნის მაღა ია ,,ცოდნა-“სი

გ ა მ ო ც ე მ ა.

| | |
|---|---|
| **გრიგოლ ორბელიანის ლექსები** სურათით | 20 „ |
| **წმინდა გიორგის რაზმი** | 5 „ |
| **სამეგრელოს სერო სკოლები** ლოლუას | 5 „ |

ჩვენი გამოცემანი.

| | |
|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა | 15 „ |
| **თამარ მეფე** | 5 „ |
| **ვაჭრული ჭკუა** | 5 „ |
| **დათუნა გოცირიძე** და **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა | 5 „ |
| **პატარა ჩონგური** ლექსები (დედა-ენა) | 5 „ |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) | 5 „ |
| **ორი ქოსატყუილა**, **ბიჭია მენახვირე**, **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი | 10 „ |
| **აბრამის და იობის ლექსი** | 3 „ |
| **სურათი თამარ მეფისა** | 5 „ |
| **კულტურა** ლიპერტისა | 50 „ |
| **ლექსიკონი** რუსულ ქართული მინერალოგ. ასტრონომ. ზოოლოგ. და ტეხნიკ. სიტყვებისა. კ. ყიფიანისა | 50 |

აქვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას არა ნაკლებ **ორი მანეთისა** დაუყონებლ გაეგზავნება ფას-დადებით.

ადრესი ფოსტ.: Тифлисъ. книжный магазинъ «ЦОДНА»

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.** 10—4